გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877 1888


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი

ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ), გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, ქარვასლა საადგილ-მამულო ბანკისა № 109, 110).

**ქუთაისში**: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში**: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში**: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 24 თებერვალი

თ-დი ლევან ვაჩნაძის მოხსენება ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლის გადაკეთების თაობაზედ, მეტად ვრცელია და რთული და ამიტომაც ჩვენ მარტო მის დედა-აზრს აღვნიშნავთ და დაწვრილებითს გამოძიებას-კი თავს დავანებებთ. ჯერ ამიტომ-რომ საქმე დედა-აზრშია ყველაზედ უწინარეს და მერე იმიტომ-რომ დაწვრილებით გამოძიებისათვის მარტო ჩვენს ხსოვნას ვერ დავენდობით და სხვა საბუთი-კი ხელთ არა გვაქვს.

ბ-ნს ვაჩნაძეს დედა-აზრად ისა აქვს დაყენებული, რომ თავად-აზნაურობისათვის საჭიროა იმისთანა სკოლა, რომელიც უსათუოდ, ცოტად თუ ბევრად, შემთავრებულს სწავლა-ცოდნას აძლევდეს მოსწავლესა და ის სწავლა-ცოდნა პირდაპირ გამოსაყენებელი და მოსახმარებელი იყოს ცხოვრებაში. აქ ბ-ნს ვაჩნაძეს მხარი დაუჭერია იმ აზრისათვის, რომელიც მართლა ჩვენს საზოგადოებაში ჰტრიალებს და რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჩვენს მეთაურს წერილში («ივერია» № 41).

რაკი ეს აზრი წაუმძღვარებია, ბ-ნს ვაჩნაძეს, რასაკვირველია, იმის პასუხიც უნდა მოეცა თუ,—რა გვარი სკოლაა განმახორციელებელი ხსენებულის აზრისა. ჩვენი თავად-აზნაურობა სოფელში მცხოვრებელი მიწათ-მფლობელი და მიწათ-მოქმედი წოდებაა. ერთად-ერთი სახსარი მისის ეკონომიურის ცხოვრებისა სოფლის მეურნეობაა. ესევე თითქმის ერთად-ერთი სახსარი დანარჩენის ხალხისაც ჩვენში. ბ-ნს ვაჩნაძეს მის მიერ განზრახული სკოლა სწორედ ამ გარემოების და საჭიროების კვალობაზედ გამოუჭრია.

ბ-ნ ვაჩნაძის აზრით, ჩვენთვის საჭიროა ეგრედ წოდებული სპეციალური სასწავლებელი და, სახელდობრ, სამეურნო, სადაც უნდა ისწავლებოდეს ყოველგვარი ხელობა სასოფლო მეურნეობისა. ამისთანა სასწავლებელი სხვა-და-სხვა ხარისხისაა. არის იმისთანა სასწავლებელი, რომელიც მარტო გაწურთნულს და მიხვედრილს მუშა-კაცს იძლევა. არის მეორის ხარისხისა, რომელიც იძლევა იმოდენად მცოდნე კაცს, რომ შეუძლიან მამულის მოვლა, თავ-მდგომელობა, ცოდნით და ხერხიანად გაძღოლა, თავდარიგობა და თაოსნობა სოფლის მეურნობის ასე თუ ისე მიმართვასა და წაყვანაში. არის მესამე ხარისხის სასწავლებელიც, ეგრედ წოდებული უმაღლესი სამეურნო სასწავლებელი, მაგრამ რადგანაც ეს ჩვენთვის დღეს მიუწდომელია, ამაზედ არას ვიტყვით.

ბ-ნს ვაჩნაძეს მეორე ხარისხის სასწავლებელი ამოურჩევია ჩვენთვის. სრული კურსი ამ სასწავლებლისა იპყრობს ათს წელიწადსა. პირველი ოთხი წელიწადი ჰხმარდება მოსამზადებელ კლასებს, მეორე ოთხი წელიწადი ორ გვარ საგნების სწავლებას. ერთ გვარი საგნები ზოგადის განათლებისანი არიან და მეორე გვარნი იმისთანა სწავლა-ცოდნისანი, ურომლისოდაც სამეურნო მეცნიერებას კაცი ვერ ისწავლის. ორი დანარჩენი წელიწადი გადადებულია განსაკუთრებით სამეურნო ხელობების სასწავლებლად თეორიით და საქმით. რასაკვირველია, ძველი ენები ლათინური და ბერძნული გამოდევნილია სასწავლებლიდამ და სამაგიეროდ ამისა დანიშნულია გაძლიერებული სწავლება ფრანგულისა იმოდენად, რომ კურს-შესრულებულთ ღონე ჰქონდეთ ანგარიშები მეურნეობისა ფრანგულს ენაზედ შეადგინონ ხოლმე.

მოსამზადებელს კლასებს ის დანიშნულებაცა აქვთ, რომ ყმაწვილებს აქედამ შეეძლოთ სხვა სახელმწიფო სასწავლებელში შესვლა, თუ მშობლები ამას მოიწადინებენ. მათზედ მიმყოლს ოთხს კლასს საგნადა აქვს ზოგად განათლებასაც ხელი შეუწყონ და ამასთან მოსწავლეს იმოდენად შესძინონ სწავლა-ცოდნა ბუნების მეტყველების სხვა-და-სხვა მეცნიერებისა, რამოდენადაც საჭიროა მეურნეობის სწავლა-ცოდნისათვის საკუთრად. ფრანგულის ენის გაძლიერებული სწავლება იმითია დასაბუთებული, რომ ჩვენს სასწავლებელში კურს-შესრულებულს შეეძლოს, თუ დრო ხელს მისცემს, საზღვარ გარედ უფრო ვრცლად და ზედ-მიწევნით შემთავროს სამეურნო სწავლა-ცოდნა, ესე იგი, აქაური ნაკლი, იქ შეისრულოს.

თუმცა ბ-ნს ვაჩნაძეს, შეუწონია ჩვენი საჭიროება ჩვენის დღევანდელ ჯიბისათვის და საშუალო პროგრამის სამეურნო სკოლა ამოურჩევია ჩვენთვის, მაგრამ ესეცკი უნდა ვსთქვათ, რომ იგი ჰცდილობს ამ სკოლაში შეძენილი სწავლა-ცოდნა და ხერხი ამ სწავლა-ცოდნის საქმეში გამოყენებისა საკმაოდ შემთავრებული და სრული იყოს საქმისათვის. ეგ სწავლა-ცოდნა და ხერხი იმ ზომამდე უნდა იყოს უსათუოდ მიღწეული, რომ იქ კურს-შესრულებულს ეთქმოდეს: რაც ვიცი, იმოდენად საკმაოდ და რიგიანად ვიცი, თეორიით და საქმით, რომ შემიძლიან ვისაქმო, ვიწარმოვო და ვიმოქმედოო.

აი დედა-აზრი ბ-ნ ვაჩნაძის მოხსენებისა და მისი უმთავრესი მოწყობილობა, რომელიც ავტორს დაუნიშნავს იმ დედა-აზრის განხორციელებისათვის. ჩვენთვის ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ან ხსოვნამ გვიღალატა, ან საქმის უცოდინარობამ იმოდენად არ გააჭრევინა ჩვენს თვალს, რომ სხვა არსებითი მხარეებიც ამ მოხსენებისა შეგვენიშნა და დაგვხსომებოდა.

ყოველივე წვლილი, რაც ამ დედა-აზრს ან შედეგად მოსდევს, ან განსახორციელებლად ესაჭიროება, ჩვენ განგებ არ მოვიხსენიეთ აქ, რადგანაც კრებაში უმთავრესი ბაასი გამოიწვია თვითონ დედა-აზრმა და ზოგიერთმა არსებითმა მხარემ მოხსენებისამ, წვლილნი-კი ან მთლად გაურჩევლად დარჩნენ, ან მარტო გზა-და-გზად ხელ-შეხებულ იქმნენ.

ეს წერილიც გაგვიგძელდა და ამიტომაც იძულებულ ვართ ბაასი და საუბარი, ამ საგანზედ აღძრული კრებაში, შემდეგისათვის გადავდოთ.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 23-ს თებერვალს, შესდგა სამედიცინო საზოგადოების

## ფელეტონი

### ხევსურული სიმღერები

შეკრებილი ნ. ურბნელის მიერ

ველობა გაუბედავა
სულხანაური შვილსაო;
არხოტის ქალას ჩადიან,
გულში აქვ ჯიხვებისაო;
არხოტის ქალას ღილღვლებსა
...შმაკი მაჰყვა მხრითაო;
...ასეეს [1]) არ იგებდიან,
უშიშა [2]) შეხვდა გზითაო;
...გაებით ვერ დასწონდეიან [3])
სულხანაურის შვილსაო,
თვალ შემოგვაგდეს წინ-წინა,
სულ თესლს დაგვილევს მზირთაო...
დააყარიან თოფები,
...ლი ახვიეს პირსაო;
ხელ ზეით შემოუბრუნა,
...მი ქნა თვალთ-მაქცისაო:
ხირიმი უშიშაისა
ბისნის [4]) დაარღვევს ჩრდილსაო,
თერღის [5]) წვერს გაიგონიან
ქეხა ბისნის კარს ცისაო!..
ხირიმი უშიშაისა
ნელ-ნელად გამოდისაო...
თუ გლაღ დაგვიკრეს ღილღვლებმა,
მზე დაგვიბნელდეს პირსაო!
დურბინდით ჩამახენებდეს,
საცმელა [6]) იცნეს ძმისაო;
მთით ბარად ჩამაიყარნეს
ლაღნი არწივნი მთისაო,
შაუკრეს ვიწრო ქალაი,
სადენი ღილღვლებისაო;
დააყარიან თოფები,
მზის პირ დაასკდა ჩრდილსაო;
იქნებიმც უშიშაისად,
მზიდავიც ხარი წყლისაო [7]),
მანამდინ დაიხოცნიან,
ცოცხალს უთვალეენ პირსაო [8]);
ცოცხალს უშიშას უამბეს,
პირს ღმინი [9]) ექნებისაო...
ორ წაგილალეთ უმცროსი [10]),
მზიდავიმც გყავა წყლისაო,
წყალ მაინც აზიდვიიდი,
სხვა ღლიღვებმ რა იცისაო...
უშიშა წამაიყვანეს,
ხარი საფეხნოს ზისაო,
ამაიტანა დურბინი,
ჯიხვთ შეხედნებდის კლდისაო;
ბრალია უშიშაისა—
მიწას უთხრიდან გრილსაო [11]);
ტყვია ვერ მეერეოდა
სულხანაურის გმირსაო.

(ალუდა ზვიადაური)

***

მარტია ხირჩლაიშვილი
ქორ-მთაში იარებოდა,
წაიდა სანადიროდა,
ვეფხვ-ჯიხვებს ეპარებოდა;
ახლოს მისვლივა ქისტები,
სიკვდილი ეხედვებოდა;
დიდია არხოტის ჯვარი,
გაუგო, არ მარჩებოდა,
წაიდა საშველებლადა,
მიქელი [1]) ემზადებოდა...
ნასრევი გოშტიკაურთა [2])
მარტიას არა ხვდებოდა,
მარტიაისა ნასრევი
გალოზედ [3]) აჭკაავდებოდა [4]),
გოშტიკაურთა დიჩინი
ყორანთ საჭმელად ხდებოდა;
ომ იქნა სახარის წვერსა,
თოფის ხმა დახშირდებოდა,
მარტიაისა მაჟარი
ხირიმებს გასჭარბდებოდა;
მარტია იმას ჩიოდა—
თოფ სახელს მეკიდებოდა [5])...
შინაღ წაამედ, მარტიავ,
სახელი მით შენ გრჩებოდა;
მარტია ჩალმა დაბრუნდა,
სახელ წინ ჩაუძღვებოდა;
ამღას [6]) შამახდა ბანზედა,
ვაჟს რაი მეცინებოდა,
მაულოცევდა სწორები,
მამას-კი ეამებოდა...

(ბადრა ბალიაური)

***

ბლოში [1]) გაზდილა მინინო,
ქორი ზარებულ მკივანი,
დედა უწოვავ ქისტისა,
განხორცივლისა რძიანი;
ადგა, შახკაზმა ზერდაგი [2]),
ზედ თაო შაჯდა მხრიანი,
ბლო-ღელე გარდმაავლინა,
საძელე [3]) მწვანილიანი,
შუშპრობით ჩამაავლივა
ქვათანა [4]) ბექ-ბუქიანი;
ეგ ტიმლლებ-ნექაფსოვლები [5])
ჯუთას სამზირლად დიანო,
აუდგეს გზის თავ, გზის ძირით,
შუვ ნავროზ [6]) ჩაიგდიანო;
ჯერ ხომ იომა ცხენ და ცხენ,
მერმ მშვილდ აყეფა რქიანი,
მერმ ხმალი ამაამღერა
ვადათით [7]) მელანქრიანი [8]),
ერთი წამოჰკრა ტიმლელსა,
ნაწყვეტ გზის იქით ყრიანი,
მეორე ნექაფსოელსა—
ხელ-მუხლზედ ჩამასვიანი,
მესამე ჩამააყოლა,
სისხლის წყაროებ დიანი...
ხელ დახკრა ლურჯას, დალვერდა—
შინ წადი ოხერ-ტიალი,
თავ დააკეცა ლაგამი,
მათრახი ოქროიანი.
ლურჯა მატირის ბლო-ღელეს,
ვითამ ქალია თმიანი:
პატრონ მამიკლეს ჯუთაში,
შინ მაველ ოხერ-ტიალი...
ნავროზ, გვიკლვებენ ხევსურნი,
ლაშქარ ხარ იმედიანი,
შენი ხელი და ხელ-კვერი,
მარჯვენა მარჯვებიანი...

(აფშინა გიგაური)

სოფ. ბლო

[1]) მომავალი, დაბრუნებული.
[2]) ხევსურის სახელი.
[3]) სანახავად ვერ მიუდგებოდნენ.
[4]) ჭალის სახელია.
[5]) თერგი, მდინარე.
[6]) თოფის ჩული.
[7]) საიქიოს წყალს უზიდავდეო.
[8]) მოკვდომამდე ეუბნებიან, წყალს უზიდავდეო.
[9]) ღიმილი.
[10]) საიქიოს მოსამსახურე.
[11]) დამარხვა.
[1]) არხოტში ხატია, რომელსაც მეკობრები ლოცულობენ.
[2]) ქისტების სოფელია.
[3]) ფეხის წვივი.
[4]) აჩქამდებოდა, ხმას მოიღებდა.
[5]) თოფი სახელს მეცილებაო.
[6]) სოფელია არხოტში.
[1]) სოფელია ხევსურეთში.
[2]) კარგი იაბო ცხენი.
[3]) მთის სახელია.
[4]) ადგილის სახელია.
[5]) ქისტების სოფლის სახელია.
[6]) ქისტის სახელია.
[7]) ტარი, ხელის მოსაკიდი.
[8]) კარგის ჯურის ხმალი.

კრება, რომელზედაც საბოლოვოდ გადასწყდა ავჭალის წყაროსა და მტკვრის წყლის ბედი. კრებაზე მოკლედ განმეორებული იყო წინანდელი ბაასი მტკვრისა და ავჭალის წყლის ავ-კარგიანობაზე. თავ-მჯდომარემ, ბ-ნმა გორალევიჩმა, მოკლედ განიმეორა ყოველივე, რაიცა ითქვა ერთისა და მეორის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ და შემდეგ წაიკითხა ის ტეზისები, რომლებიც კომისიამ დაადგინა. კრების უმეტესობამ უპირატესობა მისცა ავჭალის წყაროს წყალს. აგრეთვე ისიც აღიარა, რომ მტკვრის წყალიც მარგებელია, თუ ქალაქ გარედ იქმნა ამოღებული და გაწმენდილიო. ბ-ნმა ხუდადოვმა ითხოვა, რომ ჩემს ტეზისებსაც უყარეთ კენჭიო, მაგრამ თავ-მჯდომარე ამაზე არ დასთანხმდა, რადგანაც თვით ხუდადოვი კომისიის წევრია და იმის აზრის მიხედვით ვუყარეთ კენჭი კომისიის ტეზისებსაო. კრებამ მადლობა გამოუცხადა კომისიას.

კრებაზე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

⁂ დღეს, ხუთშაბათს, ქართულს თეატრში დანიშნულია რუსულ დასის მიერ წარმოდგენა სასარგებლოდ ერთის ღარიბ ქართველ სტუდენტისა.

⁂ ხვალ, პარასკევს, დანიშნულია მასწავლებელ ქალების კრება, რომელიც ამ ორის კვირის წინად ვერ მოჰხდა, რადგან არ დაესწრო კანონიერი რიცხვი წევრთა. პარასკევისათვის წევრნი მეორედ არიან მოწვეულნი და ამიტომ, რამდენიც უნდა დაესწროს, კრება მაინც კანონიერი იქნება და იმისი გარდაწყვეტილება—სავალდებულო დანარჩენთათვის. თუ მოვიგონებთ, რა საყურადღებო საქმეები აქვს კრებას განსახილველად, მაგალითებრ, ღარიბ მასწავლებელთათვის სადგურის დაქირავება, სამკითხველოს გამართვა და სხვანი, უნდა ვისურვოთ, რომ რაც შეიძლება წევრთა მომეტებულმა რიცხვმა მიიღოს მონაწილეობა ამ ფრიად სასარგებლო საგნების განხილვაში.

⁂ ამ სამშაბათს ბენეფისი იყო წარჩინებულ არტისტ-ქალის საფაროვი-აბაშიძისა. ჯერ ქართულ თეატრის შენობას თითქმის არა ჰღირსებია იმოდენა ხალხი, როგორც მოაწყდა სამშაბათს. ითამაშეს დრამა «ორი ობოლი», ბ-ნ ა. ცაგარლის მიერ გადმოთარგმნილი, და ვოდევილი „გულმა იგრძნო“, გადმოკეთებული თვით ქ-ნ მობენეფისეს მიერ. თამაშობამ ერთობ კარგად ჩაიარა. თუმცა ქ-ნ საფაროვის ნიჭიერებას მაგდენად არ უდგება დრამატიული როლები, მაინც ჩინებულად შეასრულა და ნათლადაც გამოგვიხატა სატანჯველი მდგომარეობა უსინათლო ობოლის ლუიზასი. საუცხოვო რამ სანახავი იყო ბ-ნი კ. ყიფიანი პოლიციის უფროსის როლში და დიდის სიცხოველით ითამაშა აგრეთვე მეორე როლი, ჟაკისა, საკმაოდ რთული. უკანასკნელს როლში ბ-ნი ყიფიანი გამოვიდა სრულებით მოუმზადებლივ, მაგრამ მაინც მშვენივრად შეასრულა და დიდი შთაბეჭდილებაც იქონია მაყურებლებზე. ახალმა მოთამაშემ, ბ-ნმა ხუციშვილმა, მადლიანად შეასრულა ძნელი როლი პიერისა და თუმცა ადგილ-ადგილ აკლდა იმის თამაშობას გამჭრიახობა, მაგრამ ზოგან სრულის არტისტულ ნიჭიერებით გამოხატა პიერის გულის ღელვა, ნამეტნავად ბოლოში, როდესაც დაიფარა ორი ობოლი და თავისი ნადირი ძმა ჟაკი სასიკვდილოდ დასჭრა. კარგი იყო ქ-ნი ბ. ავალოვისა გენრიეტას როლში და არც ქ-ნი მელიქოვისა იყო ურიგო მარიანას როლში. თვით ქ-ნ თამაროვისასაც-კი არა უშავდა-რა ამ პიესაში, თუმცა სიტყვები მაინც ეშლებოდა ზოგან. ხოლო სწორედ შეუდარებელი იყო ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა მამიდა ფროშარის როლში. ქართულ რეპერტუარში ერთი პიესაც არ მოიპოვება ისეთი, სადაც ამ ნიჭიერს არტისტ-ქალს გამოეჩინოს იმოდენა მადლი, რაც გამოიჩინა ორ ობოლში. ტაშის კვრა და ვაშა-ვაშას ძახილი ქ-ნ გაბუნიასადმი გაუთავებელი იყო.

კარგად ითამაშეს ვოდევილიც «გულმა იგრძნო». მშვენიერი და მკვირცხლი რამ იყო ქ-ნი მობენეფისე ნუცას როლში. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა ღამის ორის ნახევარზე.

საზოგადოებამ თავის მიერ ღირსეულად დაფასებულს ნიჭიერს მობენეფისეს შემდეგი საჩუქრები მიართვა: ორი დაფნის გვირგვინი, თორმეტი ცალი ჩაის ვერცხლის კოვზი, მოსევადებული, ერთი ვერცხლის სურა, ერთი ოქროს სამაჯური და ერთიც ყვავილების თაიგული. ყვავილებთან ერთად ნიჭიერს არტისტ-ქალს მიართვეს ოცი თუმანი ფულად დაბეჭდილს სადა პაკეთში. ნივთებს საზოგადოდა არავითარიმე წარწერა არა აქვთ, მხოლოდ კოვზებზეა გამოყვანილი ორი ასო: «მ. ს.»

⁂ ქუთაისი: ძალიან გათამამებულნი არიან აქაური ყასბები, რომლებსაც უნდათ გამარხულებენ, უნდათ—გაგიხსნილებენ. ეს იმათ სრულს ნებაზეა დამოკიდებული და იმათი ალაგმა დღემდის ვერავის მოუხერხებია, ვერც ქალაქის გამგეობას და ვერც პოლიციასა. საქმე ის არის, რომ ყასბები, როდესაც მოინდომებენ ხორცზე ფასის მომატებას, უსათუოდ გამოლევენ ხოლმე ხორცსა. მაგალითად, წარსულს დღეებში ერთს გირვანქა ხორცს ვერ იშოვიდით სასყიდლად. თუ გირვანქაზე ერთი კაპეიკი მოუმატეს, მაშინვე ხორცი ჩეჩქივით გაჩნდება. ასე და ამ რიგად ხორცის ფასის მომატება სრულიად დამოკიდებულია ყასბების ნება-ყოფლობაზე, რომლებიც ხსენებულის საშუალებით თანდა-თან აძვირებენ ხორცსა. რასაკვირველია, ეს გარემოება მეტად სამწუხაროა ღარიბთათვის. შეძლებულთათვის-კი, როგორც ამბობენ, მაინც-და-მაინც სამძიმო არ არის, რადგანაც ამათთვის ყასბებს ხორცი გამოულეველი აქვთ სარდაფებშიო.

⁂ იქიდამვე: რიონის მარცხენა მხარეს, უხიმერიონის მთაზე, ქალაქის გამგეობის განკარგულებით ფარნებია დადგმული, მაგრამ, როგორც სჩანს, უფრო შნოისათვის და არა გასანათებლად. ფარნიდგან ათს ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევთ, ისე სუსტად ანათებს ლამპარი.

⁂ ნიგოითი (გურია): ჩვენს მყუდრო და ამ რამდენისამე წლის წინად თითქმის სრულიად გაევრანებულს ნიგოითში, სამწუხაროდ, მეტად გავრცელდა ერთი არა-სასიამოვნო ჩვეულება. მე მოგახსენებთ ბანქოს თამაშობის თაობაზე. ეს არა-საქებური ჩვეულება წინად და ეხლაც შემოღებულია მთელს გურიაში და ამ ბოლო ხანებში ჩვენც გვეწვია. მართალია, ხსენებული სენი მდაბიო ხალხში ჯერ არ გავრცელებულა, მაგრამ, იმედია, იმათშიაც მოიკიდებს ფეხს. ხომ მოგეხსენებათ, როგორიც მღვდელიო, ისეთივე ერიო. იშვიათად შეხვდებით მთელს გურიაში ცოტათი მაინც «თავ-აწეულის» კაცის ოჯახს, რომელიც ბანქოს არ თამაშობდეს. ყოველგან გაისმის „ტიომნისა“ და „ხლუსტის“ ძახილი. ბანქოებს ტყაპა-ტყუპი გააქვს სტოლსა, სკამსა და დახლზე.

⁂ სოფ. მოლითი (ზექათუბნის საზოგადოება): საზოგადოდ სოფლის ხალხს საშუალება და მოხერხება არა აქვს თავის დროზე ისარგებლოს ექიმის შემწეობით და დარიგებით. ამ სამწუხარო გარემოებით სარგებლობენ სოფლის მკურნალები, რომლებიც ვერც ავადმყოფებს არჩენენ და თანაც, რამდენადაც შეუძლიანთ, დიდს ხელ-ფასსართმევენ გლეხებს. ამის დასამტკიცებლად ერთს ამბავს მოგახსენებთ. სოფ. მოლითში ერთის გლეხის ოჯახში გაჩნდა ძლიერი ხურვება, რომელმაც იმსხვერპლა ოთხი სული კაცი. პირველად ვერ გაიგეს, თუ ეს ავადმყოფობა ხურვება იყო და ამიტომაც როცა ერთი გარდაიცვალა, ჩვეულებისამებრ მეზობლები დაესწრნენ იმის დასაფლავებას. შემდეგ, როცა მეორე და მესამე მოკვდა, საბრალო გლეხის ოჯახს არავინ მიეკარა. წარმოიდგინეთ მდგომარეობა საბრალო მოხუცისა, რომელმაც ცოლი და ორი ვაჟკაცი შვილი ურმით, უკუბოდ გატანა და საკუთარის ხელით დაჰმარხა. მამასახლისმა, როცა ეს ამბავი გაიგო, აცნობა მაზრის ექიმს. ექიმიც მოვიდა, დარიგება მისცა და რეცეპტიც დაუწერა. ავადმყოფების პატრონებს ეს არაფრად ეჭაშნიკათ და ეთქვათ: «მამასახლისს რა ჯავრი სჭირდა ჩვენიო, რომ «დოხთური» კარზე მოგვაყენაო; იმათ თუ წამლობა იცოდნენ, წამლებიც თან უნდა დაჰქონდეთო». რეცეპტი გადააგდეს და ისევ სოფლის მატყუარა მკურნალს მიჰმართეს. ამანაც თხუთმეტი მანათი გამოართვა წინად, ჩამოიარა მთელი სოფელი, ვის სამი და ვის ხუთი მანათი დასტყუა და აღუთქვა, რომ ვინც ჩემს წამალს დალევს, ავადმყოფობა არ შეეყრებაო. ამ გვარად მოაგროვა დიდ-ძალი ფული და გზას გაუდგა. ამის შემდეგ რამდენიმე კაცი კიდევ მოკვდა სოფელში და შესაძლოა, ავადმყოფობა მთელს სოფელს მოედოს. ამ ნაამბობიდგან შეგვიძლიანთ დავასკვნათ, რომ საკმაო არ არის ექიმმა მხოლოდ რეცეპტები სწეროს სოფელში. ამასთანავე აუცილებლად საჭიროა, რომ თითოეული ექიმი თან ატარებდეს პატარა, თან-სატარებელს აფთიაქს და საჭირო წამალი იმ წამსვე მიაწოდოს ავადმყოფს. არც ის იქნება მეტი, რომ როცა სადმე რომელიმე სენი მძვინვარებს, დროებით ფერშალი დასტოვოს სოფელში.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მეთორმეტე)

„ნიმუშები ძველის ქართულის სახარებისა“.

ამ საგანზედ დ. ზ. ბაქრაძის წერილი დაბეჭდილია არქეოლოგიურ საზოგადოების მიერ (Труды Арх. съѣзда въ Тифлисѣ). წერილში პატივცემული ბაქრაძე განიხილავს საზოგადოდ მწიგნობრობის და კერძოდ საღმრთო წიგნთა თარგმნის საქმეს.

უკანასკნელ დრომდე მეცნიერებამ იცოდა, რომ წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ გადმოღებული და გადმოთარგმნილი სახარება არსებობდა, და ჰგონებდა, რომ გიორგის დრომდე (მე-XI ს.) ქართველთ სახარება არა ჰქონდათ თავის ენაზედ. ეს აზრი მართალი არ არის. ბოლო დროს აღმოჩნდა სახარების ძვე-

## უშგულის აღწერა

(სვანთა ყოფა-ცხოვრებიდამ *)

უშგულელის და საზოგადოდ სვანის ტანისამოსი იყო (ეხლა ცოტა არ იყოს სხვა გვარი ტანისამოსი აცვიათ) მოკლე, ძლივს მუხლამდე ჩამოწეული შალის ჩოხა; შალისავე შარვარი, პაიჭები, სამუხლეები და ყაბალახი; ადგილობრივის ტილოს პერანგი, ან ჩითეულობისა; ქუდი ნაბდისა და ტყავისა. უშგულში წმინდა შალები არ იციან; რადგანაც დიდი ყინვები იცის ზამთრობით, ამისათვის საჭიროა მსხვილი და თბილი შალები შეიკერონ ჩოხებად.

ქალამანი ორ გვარი იციან: ბანდული და რგვალი. ბანდულს ხმარობენ სამგზავროდ, სანადიროდ, ერთის სიტყვით, ცუდს გზებზე; რგვალს ქალამანს-კი—უფრო შინ, სოფლად. როგორც ბანდულში, ისე რგვალს ქალამნებში ჩაიტანებენ ხოლმე წინდების მაგიერ «თომს» (წერექვ). არც ერთი ბალახი ისე თბილად არ ინახავს ფეხს ზამთარში, როგორც თომი და ამიტომაც ყოველს შემოდგომაზე ოჯახი ერთ მარხილ თომს ინახავს ცალკე ამ დანიშნულებისათვის.

ზამთარში როგორც კაცები, ისე ქალები იცვამენ ტყავის ქურქებს. ღართს ადგილობრივ არავინ აკეთებს და ამისათვის ძვირად ვისმე აქვს. ქალებს აცვიათ გრძელი პერანგი თავის ამხანაგითურთ, ზედ წინ-გახსნილი და ღილებ-დაწკრიალებული, დასიპრული ახალუხი; თავზე ჰხურავთ ლეჩაქები, რომელთაც ურიბებით იკრავენ. სიმდიდრეთ მიაჩნიათ, თუ ვისმეს ყანაოზის პერანგისა და ხავერდის ქათიბი აქვს. ფეხსაცმელი ქალებისა იგივეა, რაც კაცებისა. სარტყელს თითონვე იქსოვდნენ შალისას და უფრო ცის ფრად შეღებილი სარტყელი უყვარდათ. შეძლებულს ქალებს ჰქონდათ გულზე ჩამოკიდებული «ჩაფრასტრ»-ი (нагрудникъ). ყელზე აბიათ ქალებს სხვა-და-სხვა გვარისა და ფერის მძივები. ყველაზე უფრო მოსწონთ ქარვა და წმინდა გიშერი.

უშგულელს უნდა ჰქონდეს თოფი, ხანჯალი და აქა-იქ ფიშტოლა. დაშნას უშგულში არა სცემენ პატივს და არც ვისმე აქვს. ჩხუბში დაშნა ვერაფერს ახერხებს სვანეთში, რადგანაც ყოველს კაცს გრძელი და მსხვილი ჯოხი აქვს და დაშნიანს კაცს ჩხუბის დროს ჯოხის შემწეობით ახლო არავინ მიიკარებს. სადაც თოფია, იქ, რასაკვირველია, ტყვია-წამალიც უნდა იყოს და იმათი შესანახავი ჭურჭელიც. ასეც არის. სვანს სარტყელზე აქვს ჩამოკიდებული «ვაზნა», რომელშიაც წამალი უყრია, და «კისა» ტყვიების შესანახავად. მხარზე სვანს გადაკიდებული აქვს «საპირწამლე». ქამარზევე აქვს ჩამოკიდებული კვესი, საქონე (ლალცომარ). საქონე საჭიროა, რომ იარაღს წააცხოს ხოლმე და დაჟანგებისაგან დაიცვას. ვისაც თოფი აქვს, იმას უთუოდ მასრები, ან, როგორც იმერეთში ეძახიან, ქილებიც უნდა ჰქონდეს ჩოხის ჯიბეში. შეიარაღებულს კაცს მასრებში გამოულეველად უნდა ჰქონდეს თოფის წამალი, გამოწყული თითო თოფის სროლა. მასრებს დაცობილი აქვთ თოფის ფინთიხები; საჭირო და საჩქარო დროს სვანი უცებ ამოიღებს ჯიბიდამ წამლიანს ქილას, კბილით ფინთიხს ახდის და პირში ჩაიდებს; როგორც-კი ერთის ხელით ქილიდამ თოფში წამალს ჩაჰყრის, მაშინვე პირით ფინთიხს მიიტანს თოფის ტუჩთან დასაცობლად და ამ ფინთიხს სწრაფლად ჩასწევს ხოლმე ზუმბით. დაცარიელებულს მასრას მაშინვე ავსებს წამლით ვაზნიდამ.

წამოსადეგობით და ახოვანებით უშგულში უწინ განთქმული იყო ხალხი; აქ ხშირად შეხვდებოდა ადამიანი საჟენის სიმაღლე კაცსა. ეხლა-კი, მას აქეთ, რაც მოზარდ თაობამ სამუშაოდ სიარული დაიწყო სხვა-და-სხვა ადგილას, ხალხი დაწვრილმანდა. საზოგადოდ უშგულში შუა ტანისა და ჩასკვნილი ხალხია, ფერად შავ-გვრემანი; აქვს მოშაო თმა-წვერი. წმიდა თეთრს ვერც კაცს და ვერც ქალს ვერ შეხვდებით. კაცები წვერს იპარსავენ და თმას იკვეცენ იმ ნაირად, რომ წინ შუბლის შუამდე ჩამოაწევს, მერე ყურებამდე; ყურებს უკან თმა უფრო გრძლად არის მოკვეცილი, ასე რომ საყელოს ზედა პირს ჰფარავს, ისე აქვს გადაფენილი. ქალები თმას ნაწნავებად იკეთებენ; გრძელსა და შავს ქალის თმას, როგორც სხვა საქართველოს კუთხეებში, უშგულში ვერა ჰნახავს კაცი, თუმცა ქალის თმა დიდი სამკაული ჰგონია ხალხსა.

უშგულში, სადაც 500 სული კაცი სცხოვრობს ამ ჟამად, ორი კოჭლია, სამი ბრმა (მოხუცებულნი) და ოთხიც ყრუ. ყიყვი, რომელსაც ზოგიერთ სოფლებში ჰხედავს კაცი, აქ არ იცის. უშგულელი საზოგადოდ ამაყი და ავ-გულია; მოთმინება იცის, მოთმინებიდგან გამოყვანილი-კი არც სხვას ჰზოგავს და არც თავის თავს. ტყუილად-კი არ დარქმევია ამ საზოგადოებას «უშგულ»-ი, რომელიც ქართულად უკულმას, უკულმართს ჰნიშნავს. უშგულელები დანარჩენს სვანებს ძველის დროიდამ შემდეგის ეპიტეტებით შეუმკიათ:

უშგვლარ, დავარ!
უშგვლარ, კეცარ!

ესე იგი:

უშგულელებო, დევებო!
უშგულელებო, მხეცებო!

მართლადაც უშგულს თავისუფლების დაცვისათვის ხშირად ეჭირებოდა დევის ძალა და სასტიკი მხეცური ღონის-ძიება იმათ წინააღმდეგ, ვინც ჰლამობდა იმის დამორჩილებას.

აქ ცოტა ხანს უნდა შევჩერდეთ და თვალი გარდავავლოთ უშგულის წარსულს, რამდენადაც ამის ნებას მოგვცემს ჩვენ მიერ ადგილობრივ შეკრებული ცოდნა.

თავისუფალი სვანი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 35 და 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ნიმუშები, რომელნიც აშკარად ჰმოწმობენ, რომ ქართველთ წმ. გიორგიზე რამდენისამე საუკუნით ადრე დედა-ენაზე გადმოღებული ჰქონიათ წმ. სახარება. ძველი ნიმუშებიც რომ არ აღმოჩენილიყო, ის გარემოებაც უყურადღებოდ არ უნდა დაგვეტოვებინა ამ შემთხვევაში, რომ ყოველ ახლად მოქრისტიანებულს ერს წესად ჰქონდა პირველსავე ხანში გადაეღო თავის ენაზე სახარება. მაგალითად, საბერძნეთში, რა-კი ქრისტიანობა იწამეს, სახარების თარგმანიც გაჩნდა ბერძნულს ენაზედ. მალე გაჩნდა თარგმანი სახარებისა გოტიურს, კოპტურს, ეთიოპურს და სომხურს ენაზედაც (მე-V ს.). რატომ ამავე გზას არ დაადგებოდა ქართული ეკკლესია, რომელიც ვახტანგ გორგასლანის დროს (მე-V ს.) უკვე ავტოკეფალად შეიქმნა თავისისავე მეცადინეობითა და გარჯით. ეს რომ ასრე იქნებოდა, სჩანს იქიდამაც, რომ.

ა) «ქართლის ცხოვრება» პირდაპირ ამბობს: სანდუხტ დედოფლისათვის (მე-V ს.) ქართულად გადმოიღეს სახარებაო;

ბ) არსებობს ვ. გორგასლანისაგან მშვენივრად შემკული სახარება, რომელიც მე-VI ს. ფარსმან მეფეს მიურთმევია შიო-მღვიმის ტაძრისათვის, და

გ) წერილობითი მოწმობა თვით წმ. გიორგი მთაწმინდელისა, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ «მე მხოლოდ ბეჯითად შევასწორე და შევამოწმე ძველად გულ-მოდგინებით ნათარგმნი სახარებაო».

წმ. გიორგის სახარების გარდა არსებობს აგრეთვე 936 წელს ნათარგმნი სახარება, რომელიც გადაწერილია მეფე სუმბატისათვის. იგი სახარება ეხლა ეკუთვნის [illegible] წიგნთსაცავს. მაგრამ ამაზე უფრო ძველი ნიმუშებია კიდევ. ერთია ქსნისა და მეორე ურბნისისა. ეს სახარებანი შემთხვევით მოვიპოვეთ, ამბობს ჩვენი პატივცემული სწავლული.

ორივე სახარება ქსნისაცა და ურბნისისაც დაწერილია ხუცურ ასო-მთავრულით, და ამ ასოებით დაწერილნი სახარებანი, როგორც უკვე ჩვენ დავამტკიცეთ ამას წინად (იხ. ქართული პალეოგრაფია), ეკუთვნიან მეათე საუკუნის უწინარეს დროსა. ქართულის პალეოგრაფიის მცოდნე ამ ორს სახარებაში უფრო ძველად თარგმნილად ჩასთვლის ქსნის სახარებას. მეორეს, ურბნისისას ქორონიკონი უზის „დასაბამითგან ხჲი“ (6110), რომელიც ქართულის წელთა აღრიცხვით უდრის 506 წ. ქრისტეს შემდეგ და ბერძნულის აღრიცხვით-კი 596 წ. ქსნის სახარება-კი ამის უწინარეს დროს უნდა ეკუთვნოდეს, თუ მივიღებთ მხედველობაში პალეოგრაფიულს კანონებს. ქსნის სახარების ასოების გარეგანი შეხედულობა, მოყვანილობა და გამოხატულობანი ჰგვანან სასანიდების დროს ქართულ ფულების წარწერებსა.

ამ ორ სახარებათა შედარებამ თვით წმ. გიორგის ნათარგმნ სახარებად აღიარებულთან უფრო დაგვარწმუნაო, განაგრძობს ბ-ნი ბაქრაძე, რომ სამივე სახარების პირნი დამოუკიდებელნი, ცალკ-ცალკე ნიმუშნი არიან, ნიმუშნი, რომელნიც, შესაძლებელია, ეთარგმნათ სამს სხვა-და-სხვა მოღვაწეს და ამას გარდა უძველესი ამ პირთაგანი არის სახარება ქსნისაო.

ამას გვიმტკიცებს შედარება სამივე სახარების ხელისა. ქსნისა და ურბნისის სახარებებში ზოგი სიტყვები გვხვდება ახსნით მათის მნიშვნელობისა; მაგ., ტალანტი, რომელ არს ქანქარი; დრაჰმა, რომელ არს სატირი; პასქაჲ, რომელ არს ვნებაჲ; სახარების სიტყვების ამ გვარ განმარტების დიდი წინააღმდეგი იყო გრიგოლ ღვთის-მეტყველი და ამის გამო შემდეგ სახარებაში ამოიშალა ესეთნი განმარტებანი. ამ მიზეზით წმ. გიორგი მთაწმინდელის სახარებიდამაც ამოშლილია აგრეთვე.

ორივ ხსენებულ ძველ სახარებაში კიდევ ბევრი ადგილები მოიპოვება, რომელიც სულ სხვა ნაირად არის გადმოღებული წმ. გიორგის სახარებაში. მაგალითად:

ა) ქსნის სახარების პირში ყოველ მახარებლის ნაწერს საკვირველი სათაური აქვს: «სახარებაჲ მარკოზის თავისა: თავი», «სახარება იოვანეს თავისა: თავი» და სხ. ურბნისისაში-კი: «სახარება: მარკოზის თავი», «სახარება: იოვანეს თავი». აქედგან სჩანს, რომ ყოველის მახარებლის ნაწერი იყო ერთი განსაკუთრებული თავი, რომელიც თავის მხრით იყოფებოდა კიდევ სხვა თავებად. ცხადია, მაშასადამე, ქართველნი სახარებას რად უწოდებენ ოთხ-თავსა და არა ოთხსახარებასა (четверо-евангеліе).

ბ) მათეს სახარების სიტყვები: «პონტოელი პილატე» (თ. კზ, ბ) არ მოიპოვება ქსნისა და ურბნისის სახარებაში. ბ-ნს ბაქრაძეს ჰგონია, რომ ეს სიტყვები შეცდომით შეპარულა შემდეგ დროის სახარებაში. პილატეს ერქვა პონს-პილატე და მხოლოდ ფრანგულს სახარებაში პილატე იწოდება პონსადაო.

გ) ყველა სახარებაში და გიორგი მთაწმინდელისაშიაც მარკოზის სახარების მეათე თავის მე-კე მუხლი ასრე იკითხება:

„უადვილეს არს აქლემი ხვრელსა ნემსისასა განსვლად, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“.

ქსნის სახარებაში ეს მუხლი სრულიად არ არსებობს და ურბნისისაში-კი ასეა გადმოღებული:

„უადვილეს არს მანქანისა საბელი ხვრელსა ნემსისა განსვლად“.

პატივცემულს ისტორიკოსს კიდევ მოჰყავს რამდენიმე შედარება და ბოლოს დასძენს, რომ აუცილებლად საჭიროა შეკრება და შესწავლა ქართულ ძველ სახარებათა. ესეთი შრომა სხივს მოჰფენს როგორადაც სახარებათა თარგმნის საქმეს საქართველოში, ისე მთარგმნელთა მიერ შემოღებულ ფორმებისა და ენის მიმოხვრის მნიშვნელობას და ზედ-მოქმედებას შემდეგის დროის ენასა და ლიტერატურაზედ და, მაშასადამე, აწინდელ დროისაზედაც.

ორიოდე სიტყვა კიდევ. ასეთი უტყუარი საბუთები ხმა-მაღლა და აშკარად ჰლაპარაკებენ ქართლოსიანთა მოდგმის სიძველესა და მათს ძველის-ძველ კულტურასა. ყველას, ვისაც გაუცვნია ქართული პალეოგრაფია, ქართული ხუროთმოძღვრული და ხელოვნებითნი ნაწარმოებნი, ქართული მწიგნობრობა, ქართული არქეოლოგია, ქართული ნუმიზმატიკა, ქართული ისტორია და სხ. და სხ., ყველას, ვამბობთ, ვისაც-კი ჯეროვნად შეუსწავლია ეს საგნები, დაუსკვნია ის აზრი, რომ ქართველთ ერს, გარემოცულს ულმობელ ბარბაროსებით, უცხოვრია ადამიანურის ცხოვრებით, უმეცადინია უდიდეს საგნის მისაღწევად: რჯულის, ენის და ეროვნობის დაცვისა და შერჩენისათვის. ეს საბუთნი არა სწამს მხოლოდ ზოგიერთს ახლად მოვლენილს ცრუ-ბრძენსა. არც საჭიროა, რომ იწამონ. ბევრიც რომ ილაპარაკონ და აწვალონ ისტორიულნი საბუთნი, მაინც ვერას გახდება და საბუთებს ვერსად წაუვა.

ესომ

---

# დედაკაცი

(არტურ შოპენჰაუერის აზრით)

ინდოეთში ვერ იპოვით დამოუკიდებელსა და თავისუფალს დედაკაცს. იქ ყოველი დედაკაცი უთუოდ რომელსამე მამაკაცს ემორჩილება: ან მამას, ან ქმარს, ან შვილებს. თითქმის ყველა ძველსა და ახალს ხალხებს, გოტენტოტებსაც-კი, აქვთ ის მშვენიერი ჩვეულება, რომ მემკვიდრეობა გადადის ვაჟიშვილზედ; მხოლოდ ევროპამ აუხვია ამ გზას და მაღიანაც შესცდა. დიდს უსამართლობად უნდა ჩაითვალოს, რომ დაუღალავი და ზინათი, ათასის წვითა და დაგვით მოპოვებული მამაკაცის მიერ, ჰრჩება დედაკაცსა, რომელიც ორ-სამს დღეში მიჰფლანგ-მოჰფლანგავს ხოლმე. ეს უსამართლობა კანონ-მდებლობამ უეჭველად უნდა მოსპოს და დედაკაცს მემკვიდრეობის უფლება ჩამოართვას. ჩემის აზრით, უნდა დადგენილ იქმნას, რომ დედათა სქესს, ცოლი იქნება იგი თუ ქალიშვილი, ეძლეოდეს სამკვიდროდგან მხოლოდ მცირედი ნაწილი, გარდა იმ შემთხვევისა, რასაკვირველია, როდესაც დედაკაცი ერთად-ერთი მემკვიდრეა საცხოვრებლისა. დედაკაცს თავის დღეში არ უნდა ჰქონდეს სრული უფლება საცხოვრებელზე, ესე იგი ფულსა, სახლსა, ვენახსა და სახნავ-სათესზედ. დედაკაცებს ყოველთვის ხელ-მძღვანელი უნდა ჰყავდეთ და ამიტომაც არას დროს არ უნდა დაინიშნოს დედაკაცი მცირე-წლოვან შვილების ქონების მომვლელად. ქალის თავ-მოყვარეობა, თუნდ იგი არ აღემატებოდეს კაცისას, მხოლოდ ის არის, რომ სილამაზე და სიტურფე ჰქონდეს. ამიტომაც უსაზოგადოებოთ ვერა სძლებს დედაკაცი და საზოგადოებაც [illegible] სურვილს ხარჯვისა და ფლანგვისას. მამაკაცის თავ-მოყვარეობა-კი უმეტესად ის არის, რომ ჭკუა და სწავლა შეიძინოს, მეცნიერებაში განვითარდეს, მამაცი შეიქნას და სხვა და სხვა.

არისტოტელმა თავის «პოლიტიკის» მე-II ნაწ. და მე 9 მუხლში ახსნა, თუ რა უბედურება დაემართა სპარტას იმის გამო, რომ იქ დედაკაცს ერთობ დიდი უფლება მიენიჭა, და თუ ამ დედაკაცის გაბატონებამ რამდენად შეუწყო ხელი სპარტის დაცემას. ან განა საფრანგეთის სასახლის გარყვნისა და ზნეობით დაცემის მიზეზადაც დედაკაცი არ უნდა დავასახელოთ? დედაკაცის გავლენის გაძლიერებას არ უნდა მიეწეროს განა საფრანგეთის პირველი რევოლიუცია? რაც უნდა იყოს, ევროპის ეხლანდელი დედაკაცი მეწყვია საზოგადოების სხეულზედ და რაც მალე გამოირწყვის, ისა სჯობია. დედაკაცი თვით ბუნებითვე დანიშნულია დამოკიდებულის ცხოვრებისათვის. ეს სჩანს იმ გარემოებიდამ, რომ რაც უნდა დამოუკიდებელი დედაკაცი იყოს, მაშინვე სცდილობს მიეკედლოს რომელსამე მამაკაცსდა განიბატონოს, რადგან, როგორც ვსთქვით, აუცილებლად უნდა პატრონი და ბატონი. თუ ქალი ახალგაზდაა, ასეთი პატრონი საყვარელია; თუ ხანში შესული — სულიერი მამა.

ზიძია

---

# რუსეთი

ახირებულს ამბავს მოგვითხრობს «Русская Старина» მოსკოვის ქალბატონ ანნენკოვისაზე, რომელსაც ერთ დროს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მოსკოვში. ეს ამბავი დაწერილია ამ ქალის ნათესავის, ი. ა. ანნენკოვის მეუღლის მიერ. აი რასა სწერს ეს ქალი:

მოხუცს ანნენკოვისას დიდ-ძალი ყმაწვილი ქალები ჰყავნდა, ოჯახში ქალად შეყვანილნი, და ახირებულადა სცხოვრობდა. როცა მე დამიბარა და იმისი მდგომარეობა და მოწყობილობა ვნახე, გავოცდი, გამიკვირდა, ასე მეგონა, რომ სიზმარში ვარ და არა ცხადად ვხედავ-მეთქი. ის სახლი, რომელშიაც ანნენკოვისა სცხოვრობდა, უშველებელი შენობა იყო და შიგ 150 კაცი სადგურობდა, ანნა ივანეს ასულის მსახურნი და ამალა. რამდენიმე ოთახი იყო სასტუმროდ მორთულ-მოწყობილი, მაგრამ ანნა ივანეს ასული იშვიათად გამოდიოდა ამ ოთახებში. ადამიანს ყველაზედ მეტად აოცებდა ის ოთახი, რომელშიაც ანნას ეძინა: ანნა თავის დღეში ქვეშაგებში არა წვებოდა და არც საბანს და ქვეშაგების საცვალსა ჰხმარობდა. საშინლადა სძულდა რაიმე ხმაურობა და ამიტომაც ყველა მსახურნი წინდებით დადიოდნენ და აღკრძალული ჰქონდათ ხმა-მაღლა ლაპარაკი. ადამიანის-შიშით ვერ დაენახვებოდა ისე ანნას, რომ ადრევე არ შეეტყობინებინათ. ხშირად მთელი საათი უნდა ელოდნა კაცსა, რომ გამოსულიყო ანნა და დაჰნახვებოდა ვისმე.

კარებში თორმეტი მორთული კაცი ჰყავნდა დაყენებული; სამზარეულოში 14 მზარეული მუშაობდა და ცეცხლი არ უნდა ჩამქრალიყო არც დღე და არც ღამე, რადგან ანნას არც სადილისა და არც ვახშმის დრო არა ჰქონდა დანიშნული. ყველაფერი იმის ჟინსა და გუნებაზე იყო დამოკიდებული, ვინ იცის, რომელს დღეს რა ჟინზე, ან რა გუნებაზე იქნებოდა. ის ოთახი, რომელშიაც ხშირად ატარებდა დროს, წითელის ხავერდით იყო მოფარდაგებული; შუა ადგილას ოთახს იატაკი მაღლა ჰქონდა ამოტანილი, ზედ რბილი ტახტრევანდი იდგა. ტახტრევანდის გარშემო ექვსი მშვენიერის თეთრის მარმარილოს ვაზი იდგა და ამ ვაზებში ლამპრები ენთო. ამ ოთახშივე ირთვებოდა ხოლმე ანნა. წინ უდგა ექვსი ყმაწვილი ქალი, იმ მეშვიდეს გარდა, რომელიც თმასა ჰვარცხნიდა. ანნა ისე არაფერს იცვამდა, ვიდრე იმის კაბებსა და ტანთ-საცმელს ადრევე სხვა არ ჩაიცვამდა და არ გაათბობდა. ამ საქმისათვის ახალგაზდა ქალები იყვნენ ამორჩეულნი, 16—20 წლამდე; რაკი 20 წლისა შესრულდებოდა ვინმე ამათგანი, მაშინ სხვა საქმეს მიანდობდნენ ხოლმე და იმის ეხლანდელს ადგილზედ სხვას ჩააყენებდნენ. ასე წარმოიდგინეთ, ეტლშიაც-კი უთბობდნენ ალაგს ადრევე, ვიდრე შიგ არ ჩამჯდარიყო. ამ საქმისათვის ანნა სახლში ინახავდა ერთს სქელს გერმანელს ქალსა, რომელიც ნახევარის საათით ადრე ჩაჯდებოდა ხოლმე ეტლში და ათბობდა ალაგს ანნასათვის. ამ ახირებულს ჩვეულებასა და ზნეს ანნა ივანეს ასულ ანნენკოვისას ადვილად წარმოიდგენთ, იმისი ცხოვრება რომ დაწვრილებით იცოდეთ. ანნა ერთად-ერთი ქალი იყო ივანე ბართოლომეს ძე იაკობისი, მთელის ციმბირის მთავარ-მმართებლისა ეკატერინე მე-II მეფობის დროს. ანნას თავისი დედა არ ახსოვს, რადგან იმის მშობიარობაზე გარდაცვლილა დედა. მამას-კი ძალიან უყვარდა თავისი ქალი და ანებივრებდა. როცა ანნამ სწავლა გაათავა სმოლნის ინსტიტუტში, მამასთან წავიდა ციმბირში და თუმცა მეტად ყმაწვილი და ახალგაზდა ქალი იყო, სრული მფლობელი შეიქმნა დიდ-ძალის ქონებისა და სიმდიდრისა.

ღამე ანნას ოთახში შეჰქონდათ დივანები, რომელზედაც მორიგეთ ეძინათ; ეს მორიგენი მთელი ღამე უნდა მსხდარიყვნენ და უეშველად ჩუმის ხმით ელაპარაკნათ; იმათს ხმა-დაბლა ლაპარაკში სთვლემდა ანნა და ისინი რომ გაჩუმებულიყვნენ, მაშინვე თვალებს წამოაჭყეტდა ხოლმე. ანნას სუფრა ყოველ დღე ორმოცის კაცისათვის იშლებოდა; კერძოდ თითონ-კი განსაკუთრებულს ტაბლაზედა სჭამდა პურსა, რომელზედაც მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ დაჯდომა. ხშირად თავის ოთახში მიირთმევდა ხოლმე სადილს, სადაც გაშლილს ტაბლას შეაგორებდნენ, რადგან ხმაურობა ეჯავრებოდა. ანნას არ უნდოდა ეზრუნა რაზედმე, მწუხარებას ჭირივით ერიდებოდა, და როცა იმისი მეორე შვილი, გიორგი, ომში მოჰკლეს, დედას მხოლოდ ერთის წლის შემდეგ გაუბედეს და შეატყობინეს შვილის სიკვდილი.

ანნას ოჯახში ისეთი არეულობა და ხელ-მრუდობა ჰსუფევდა, რომ ანნას სიკვდილის რამდენისამე წლის წინად მთელი ოჯახის ვერცხლეული დაგირავებული იყო; როცა წვეულება ჰქონდათ, მაშინ გამოიხსნიდნენ ხოლმე და მეორე დღეს ისევე აგირავებდნენ.

როცა ანნას შვილი ციმბირში გაჰგზავნეს, იმის ოჯახი თან-და-თან უკან წავიდა ისე, რომ 1830 წ. ანნა უკვე დაგირავებულს სახლში იდგა, თავისი საკუთარი მამული გაეყიდა. 1842 წ. ანნა გარდაიცვალა, სამარხი არა ჰქონდა და ალექსი გრიგოლის ძე ტეპლოვმა, ჩემის ქალის სიძემ, დაჰმარხა თავის ხარჯით.

ხოლო მაშინ-კი, როცა მე ვიყავი ანნასთან, იმდენი რამა ჰქონდა, რომ იმის ოთახები ვაჭრის დუქნებსა ჰგვანდა. ჯერ მარტო კაბები 5,000-მდე იყო; ეს კაბები ცალკე დავთარში ჰქონდათ ჩაწერილი, იქვე ნიმუშები იყო ძაფით მიმაგრებული და ამ დავთრით ირჩევდა ხოლმე ანნა, რომლის კაბის ჩაცმაც უნდოდა. ორი სკივრი სავსე იყო ძვირფასის არშიებითა და მოსავლებით, რომელიც სულ ცოტა 100,000 მან. ჰღირდა. მთელი ოთახი დაჭერილი ჰქონდა ძვირფასს ტყავეულობას, რომელიც, როგორც გავიგე, ციმბირიდგან მოეტანა. ანნას ძალიან უყვარდა ხოლმე მორთულობა და დიდ-ძალს ნივთებსა ჰყიდულობდა მაღაზიებში, განსაკუთრებით ინგლისისაში. ძალიანაც ენდობოდნენ ანნას, რადგან იცოდნენ, რომ ლონდონის ბანკში დიდ-ძალი ფული ჰქონდა მიბარებული. როცა ანნას რომელიმე ჩითი, ან საკაბე მოეწონებოდა ინგლისის მაღაზიაში, სულ ერთიანად იყიდდა, მთელს ნაჭერს შეიძენდა ხოლმე იმ საკაბისას, რომ სხვამ ველარ იყიდოს და ველარ შეიკეროსო.

---

# უცხოეთი

**ბოლგარია.** ამ ორი-სამის დღის დეპეშებს საიმისო ყურადღების ღირსი საპოლიტიკო ამბები აღარა მოაქვთ-რა, თითქო დეპეშის მავთულებსაც-კი მოსწყენიდათ და მოჰბეზრდათ გაუთავებელი და დაუბოლოვებელი მითქმა-მოთქმა, ქადილი და მუქარა, გახმობ-გამოხმობა კავშირის შესაკვრელადაო. ამასობაში ბოლგარიის მთავარი პრინცი ფერდინანდი თავის საქმეს ნელ-ნელა იკეთებს და, როგორც გაზეთები ამბობენ, მანიფესტიც დაუმზადებია იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა მოავხერხე როგორმე და, მეფედ გამოაცხადე ჩემი თავიო.

აი თვით მანიფესტი:

«წყალობითა ღვთისათა, ნებითა ერისათა ჩვენ ფერდინანდი I, მეფე ბოლგარიისა.

ბოლგარნო!

ბოლგარიის ერის ნებითა და ყოვლად შემძლებელის ღვთის ბრძანებითა მოწოდებულ ვიქმენ, რათა დავიმკვიდრო ტახტი ბოლგართა მეფეებისა. დიდითა გაკვირვებითა და ღრმა პატივის-ცემითა ვარ აღვსილი იმ სიმტკიცისა, გმირობისა და მხნეობისა გამო, რომელიც გამოვიჩინეთ ჩვენ ჩვენის საერთო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცველად. მე უარ-ვყავ ჩემი კერძო უპნებლობა და მყუდროება და ბედი ჩემი შევვედრე ღმერთსა და ქველობით მოსილსა ერსა ჩემსა. ჩვენ ხელი ჩავკიდეთ ერთმანერთსა. მე, თქვენ მიერ მოწოდებული, მოვედ თქვენდა ჩვენის სამშობლოსათვის ფრიად ძნელსა დროსა; მოვედ, რათა ჩემის აქ ყოფნით ბოლო მოვუღო შინაურს უთანხმოებასა და განხეთქილებასა, რომელიც მოევლინა ჩვენს მშვენიერს, ტურფა ქვეყანასა და მივცე მშვიდობიანსა და შრომის მოყვარე ბოლგართა ერსა იმედი სამერმისო წარმატებისა შრომისა და სამეფოთა ძალთა დამკვიდრების წყალობითა. ხოლო თქვენ, ჩემს მოსვლის უმალვე, მომაგეთ ისეთი სიყვარული და გამიწიეთ ისეთი დახმარე-

ბა, რომ არ შემიძლიან მადლობა და მადლობა განუსაზღვრელი არ განვიცხადოთ».

## წვრილი ამბები

— ვენგრიის გაზეთები შემდეგს საზარელს ამბავს გადმოგვცემენ, რომელიც ვენგრიის ერთს სოფელში მომხდარა. გლეხი თავის ცოლითა და ექვსის წლის ქალიშვილით წავიდნენ თურმე სტუმრად. გზაზედ ტყის-მცველი შეხვედრიათ და უთხოვნია, რომ მეც შემისვით თქვენს დროგზე და წამიყვანეთო. გლეხი დათანხმებულა. რამდენისამე ხნის შემდეგ 4 მგელი დახვედრია მგზავრებს. შეშინებულს ტყის მცველს არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, აუყვანია ხელში 6 წლის გლეხის ქალი და გადაუგდია მგლებისათვის. მგლები მისცვივნიან ყმაწვილსა და ერთს წუთს გაუთავებიათ.

— ცუდი საქმე დაჰმართებია ამას წინად პარიჟში ერთს თვალთმაქცსა. ამ თვალთმაქცს აუღია ვიღაც მაყურებლისაგან ოქროს საათი და ისე უნდა ეთვალთმაქცნა თურმე, რომ ეს საათი სხვას უნდა აღმოსჩენოდა. თვალთმაქცს ჩუმად უნდა გარდაეცა საათი თავის ხელ-ქვეითისათვის და ამ გვარად მოეტყუებინა საზოგადოება, ვითომ რაღაცა მანქანებით მე რომ საათი მქონდა, გაჰქრა და სულ სხვის ხელში აღმოჩნდაო. ეხლა-კი ხელ-ქვეითმა უმტყუნა თურმე თავის ბატონსა, აიღო საათი, ჩაჰყიბა და გასწია თავის გზაზედა. საბრალო თვალთმაქცისათვის გადაუხდევინებიათ საათის ფასი.

— გერმანიის ცოტად თუ ბევრად განთქმულს პოეტებს თავი მოუყრიათ ერთად, წრე შეუდგენიათ და რათა გერმანიის მემკვიდრე პრინცს თავისი ქვეშევრდომული ერთგულება და სიყვარული გამოუცხადონ, განუზრახავთ გამოსცენ ყველა იმ ლექსთა კრება, რომელიც დაწერილია მემკვიდრე პრინცის ავადმყოფობის გამო, ან საზოგადოდ თუ პრინცს შეეხება და თუ იმისდა მიმართ არის მიძღვნილი. ამ ლექსთა კრების შედგენაში მონაწილეობა მიუღიათ ამინტორს, ბაუმბახს, ბოდენშტედტს, კარმენ სილვას (რუმინიის დედოფალს ელისაბედს), დანს, ებერს, გენზიხენს, ბალეი ტრეის, შტურმს, ვადდიგენს და სხვათა.

— სასაცილო ამბავს მოგვითხრობენ ამერიკის გაზეთები უგულის-ყურობაზე. ბალტიმორის უნივერსიტეტის პროფესორი სილვესტრი ამას წინად ინგლისში ყოფილა. ამ დროს პროფესორი ბალტიმორში დაუბარებიათ. სილვესტრი მაშინვე გამგზავრებულა, ხოლო მისულა თუ არა ფილადელფიაში, მოჰგონებია, რომ ინგლისში მეტად საჭირო ხელ-ნაწერი დამრჩაო. პატივცემული პროფესორი მაშინვე უკან დაბრუნებულა ინგლისში და მისულა თუ არა ლივერპულში, მხოლოდ მაშინ უნახავს, რომ საჭირო ხელ-ნაწერი... უბის ჯიბეში ჰქონია.

## დეპეშა

23 თებერვალი

პეტერბურგი. ბაქოს ოლქის სასამართლოს წევრი ფიცხელაური, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ წერილობით შეურაცხყოფა მიაყენა იმავე სასამართლოს წევრს სობოლევსკისაო, სენატმა გაამართლა. სენატმა გაამართლა აგრეთვე ეკატერინოდარის სასამართლოს თავ-მჯდომარე მოპპა.

24 თებერვალი

პეტერბურგი. დღეს გამართული იყო პარადი პეტერბურგის ჯარებისა. ეს ჯარები დაათვალიერა მისმა უდიდებულესობამ ხელმწიფე იმპერატორმა.

სტამბოლი. მინისტრთა საბჭომ დაადგინა მიიღოს რუსეთის წინადადება მასზედ, რომ პრინცი კობურგისა იქმნას გამოცხადებული არა-კანონიერ მთავრად. ამის შესახებ საბჭოს, სულთანის ბრძანების მიხედვით, გაუგზავნია შესაფერი წერილი სტამბულოვისათვის.

ბუქარესტი. იმის გამო, რომ დეპუტატად ამორჩეული იქმნა პანი, რომელსაც სასამართლომ სასჯელი დაუნიშნა მათ დიდებულებათა შეურაცხყოფისათვის, მინისტრ-პრეზიდენტი ბრატიანო სამსახურიდგან გადადგა. აქ იმ აზრისანი არიან მაინც, რომ ბრატიანო დარჩება თავის ადგილზეო.

ბელგრადი. აქ ამბავი მოვიდა, რომ ჩრდილოეთ-დასავლეთს ბოლგარიაში დიდი მღელვარება არის კობურგის წინაალმდეგო. სამღვდელოებაც მთავრის წინაალმდეგიაო.

პარიჟი. სამხედრო მინისტრმა განმარტა პალატაში კანონ-პროექტი ჯარების გენერალ-ინსპექტორების შესახებ. მინისტრმა სთქვა: ეს კანონ-პროექტი საჭიროა ჯარების მოსამზადებლად ომისა და ქვეყნის დაცვისათვის. კანონ-პროექტი გადასცეს პარლამენტის სამხედრო კომისიას.

პეტერბურგის ბირჟა 23 თებერვ.

| | მყიდველ-ნი. | | გამყიდ-ველნი. | | გაყიდუ-ლნი. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — | ,, | — | ,, | 9 | 92 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | 197 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 42 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | ,, | — | ,, | 255¾ | |
| —მეორისა . . . . . | — | ,, | — | ,, | 246½ | |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7396**.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თებერვალი 29 დღით არის

25 დღე ხუთშაბათი. წმ. ეპისკოპ. ტარასისა. კათოლ. ვიქტორინისა. სომეხ. წმ. თეოდორე სტრატილატისა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. – ჭეშმარიტი შუა-დღე 12—11. ტფილისში მზე ამოდის 6—22, ჩადის 6—1. მთვარე 26 დღისაა.

26 დღე პარასკევი. წმ. პორფირესი და სევასტიანისა. კათოლ. ფელიქსისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1[illegible]. ტფილისში მზე ამოდის 6—20, ჩადის 6—2. მთვარე 27 დღისაა.

27 დღე შაბათი. გარდაცვალებულთა მოხსენების დღე. წმ. პროკოფისა. კათოლ. ფორრტუნატისა. სომეხ. კირილესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წესდება ამიერ-კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—18, ჩადის 6—3. მთვარე 28 დღისაა.

28 დღე კვირა. ყველიერის დაწყება. ლირსისა ვასილისა, ნესტორისა და სხ. კათოლ. ლეონარდისა. სომეხ. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. —ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—17, ჩადის 6—4. მთვარე 29 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკეობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი. . . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი. . . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი. . . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | [illegible] |
| გომი . . . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური. . . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . . . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . . . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა. . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . . . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი. . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი. . . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა. . . . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . . . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . . . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . . . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური. . . . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . . . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი. . . . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი. . . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . . . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა. . . . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები. . . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . . . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . . . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდან გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპია . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ . . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


## განცხადებანი

თებერვლის 23-ს ქართულ თეატრში
დავკარგე ტყავის ბუმაჟნიკი
სხვა-და-სხვა ანგარიშებითა და თამასუქებითა. მპოვნელს ვსთხოვთ უმორჩილესად წარმოადგინოს ეს ბუმაჟნიკი სოლოლაკის ქუჩაზედ, ადაბაბოვის სახლში, ღვინის სარდაფში: «подвалъ Кахетинскихъ памѣщиковъ».
3—1 თ. რევაზ ვაჩნაძე

ქუთაისის ქალების უფასო
სასწავლებლის უფროსი,
მარიამ რუბანი, აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს ბავშვების მიბარება სასწავლებელში (безплатная женская школа), მეტრიკული მოწმობა და თხოვნა უნდა შემოიტანონ მარტისა და აპრილის განმავლობაში. ბავშვებს მიიღებენ 10-ს ივნისს. 3—1

წერა-კითხვის გამავრცელებელ
საზოგადოების
წიგნთ-საცავში
(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი განვაზე საგერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები [illegible] გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| [illegible]ლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . . | 3 | 50 |

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უმაშრის
შვედურის საიჩქებისა,
რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაცა ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.
ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—29)

კავკას. სამეურნეო საზოგადოების
საბაღოსნო სკოლაში
(მუშტაიდის გვერდზე)
ისყიდება სხვა-და-სხვა ხეხილი და სადეკორაციო მცენარენი. ვისაც ჰსურს სია ანუ პრეისკურანტი გასასყიდის ხეხილისა, უსასყიდლოდ გაეგზავნება. (10—6)

КАКАО БЕЗЪ МАСЛА
C. CIУ и Кº
(50—11)


Доз. цен. Тиф., 3 февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე